№ 129 მთავრობის მოამგე

საქართველოს რესპუბლიკა

უოველდღიური გაზეთი

წელიწადი მესამე

ფასი 3 მან. შაბათი, ივნისის 12 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადება. ნი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

სილნაღის საშაზრო საერობო ხმოსანთა ყრილობის პრეზიდიუმი

ამით აცხადებს, რომ ამა წლის ივნისის 30-ს (ახ. სტ.) მოწვეულია ქ. სიღნაღში, საერობო გამგეობის ბინაზედ სამაზრო საერობო ხმოსანთა მე-4 ყრილობა. განსახილველია შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება საერობო გამგეობისა, წარსული წლის მოქმედების შესახებ.
2. 1920 წ. სავარაუდო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხის განხილვა და დამტკიცება
3. ლაგოდეხის უბნის მომრიგებელ მოსამართლის არჩევა,
4. თანახმათ 11 ივლისის 1919 წ. კანონისა, უძრავ ქონებათა იძულებით ჩამორთმევის შესახებ.

5) საერობო გამგეობის წევრთა, ი. ზ. კრაწაშვილის და ს. დ. ნატროშვილის განცხადებანი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

6. მიმდინარე საკითხები.

პრეზიდიუმი სთხოვს ყველა ხმოსანს უეჭველად დაესწრნენ ყრილობას. 630 5—3

სახელმწიფო თეატრი

კვირას, ივნისის 13-ს ნანობაშვილის მესამე გასტროლი მ. ალეშკოს მონაწილეობით

გუგენოტები

ორშაბათს, ივნისის 14-ს მ. პერინის საბალეტო შკოლის სპეკტაკლი. სამშაბათს, ივნისის 15-ს სეზონის დახურვა და ნანობაშვილის ბენეფისი, შულგინას მონაწილეობით „კარმენი“.

ოფიციალური განყოფილება

განკარგულებანი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა.

10 ივნისი, 1920 წ. № 15.

კონდრატი მაქსიმეს ძე იმნაძე დაინიშნოს მთავრობის თავმჯდომარის ადიუტანტათ ამა წლის 7 ივნისიდან.

მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

—

შინაგან საქმეთა მინისტრისა.

8 ივნისი, 1920 წ., № 42.

შექმნილმა მდგომარეობამ გამოიწვია სწრაფად ტელეფონის ხაზის გაყვანა 60 ვერსის მანძილზე. ამ საქმის სისრულეში მოყვანა დაევალა ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს, რომელმაც 4 დღის განმავლობაში ეს შეასრულა.

აღვნიშნავ რა ამ სასიამოვნო მოვლენას სამსახურის სახით მადლობას ვუცხადებ ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს უფროსს მგელაძეს, მთავარ მექანიკოსს სურგულაძეს, მექანიკოსს გუშჩინსკის, ზედამხედველებს: კომაიძეს, ებანოიძეს, დემუროვს, ჩარკვიანს, და ყველა მუშებს, რომლებიც მათ ეხმარებოდენ ამ დიად საქმის შესრულებაში.

მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

—

ხახალხო განათლების მინისტრის ამხანაგისა.

16 მარტი 1920 წ., № 52.

მიენიჭოს: ქუთაისის ქალთა წმ. ნინოს გიმნაზიის მასწავლებელს ივანე პეტრეს ძე წულეისკირს საშუალო სკოლის მასწავლებლის წოდება, ქართულ ენაში, გეოგრაფიაში და დამტკიცდეს ამავე თანამდებობაზე 1920 წლის 1 მარტიდან.

№ 53.

მიენიჭოს: ქუთაისის ქალთა წმ. ნინოს გიმნაზიის მასწავლებელს ოლღა ბექაიას ასულს საშუალო სასწავლებლის მასწავლებლის წოდება ფრანგულ ენაში და დამტკიცდეს ამავე თანამდებობაზე 1920 წლის 1 მარტიდან.

№ 54.

დაინიშნოს: სენაკის ქალთა გიმნაზიის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებლად ილია ბეჟანის ძე სალაყაია მიმდინარე წლის 1 აპრილიდან.

№ 55.

ჩაეთვალოს: სახელმწიფო სამსახურში საქართველოს ფიზიკურ ობსერვატორიის დამკვირვებელს დიმიტრი გურგენიძეს კარსნის სამაგნიტო განყოფილებაში ნამსახური წლები 1905 წლის 6 აგვისტოდან 1910 წლის 1 იანვრამდე.

19 აპრილი, 1920 წ., № 56.

მიენიჭოს: ქუთაისია გაბრიელის სახელობის ქალთა გიმნაზიის მასწავლებელს ალექსი დავითის ძე გრიგოლიას საშუალო სკოლის მასწავლებლის წოდება მათემათიკაში და დამტკიცდეს ამავე თანამდებობაზე 1920 წლ. 1 იანვრიდან.

5 მაისი, 1920 წ. № 57.

დამტკიცდეს: საქართველოს მუზეუმის დებულების მე-6 მუხლის თანახმად არჩეულნი:

1. ნოე ყიფიანი: გეოლოგიურ განყოფილების გამგის თანამდებობაზე.
2. ბორის შიშკინი: ბოტანიკოსად, ბოტანიკურ განყოფილების გამგეობის დროებით დაკისრებით
3. ბორის უვაროვი: ენტომოლოგოსად ენტომოლოგიურ განყოფილების გამგეობის დროებით დაკისრებით.

განათლების მინისტრის მაგ.

ნ. ციწაძე.

არა ოფიციალური განყოფილება

დამფუძნებელ კრებაში

დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმმა უკანასკნელ სხდომაზე განიხილა საბიუჯეტო—საფინანსო კომისიის მიერ წარდგენილი პროექტი მთავრობის განკარგულებაში 30 მილ. მან. გადადების შესახებ რესპუბლიკის ქალაქების მისაცემად. დამფუძ. კრების პრეზიდიუმი თანაგრძნობით შეხვდა ამ საკითხს და დაადგინა შეიტანოს ეს პროექტი განსახილველად დამფ. კრებაში.

თავდაცვის ფონდი.

მთავრობამ შეიტანა დამფუძნებელ კრებაში წინადადება მის (მთავრობის) განკარგულებაში საჭირო თანხის გადიდების შესახებ ქვეყნის თავდაცვის ფონდის შესაქმნელად. გადაწყვეტილია დაისვას საკითხი დამფუძნებელ კრების უახლოეს საერთო სხდომის დღიურ წესრიგში.

გარეშე საქმეთა კომისიაში.

საზავო ხელშეკრულება საქართველოს და რუსეთის შორის 7 ივნისის სხდომაზე გარეშე საქმეთა კომისიამ განიხილა ხელშეკრულება, საქართველოს და რუსეთს შორის დადებული კომისიას დაესწრენ აგრეთვე გარეშე საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი და სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე. ხელშეკრულება მიიღეს, და მოიწონეს ყველამ ერთის წინააღმდეგ. გადაწყვეტილი იქნა საზავო ხელშეკრულება განსახილველად გადაეცეს იურიდიულ და გარეშე საქმეთა კომისიებს, რომელებიც შეერთებულ სხდომაზე უნდა ხელ ახლა განიხილონ ხელშეკრულება საბოლოო ფორმაში.

დამფუძნებელი კრების შრომის და იურიდიულმა კომისიამ შრომის ხელშეკრულების შესახებ, დაადგინა, რომ შრომის ხელშეკრულება უნდა გავრცელდეს ყველა საზოგადო და კერძო წარმოებების დაბალ მოსამსახურეებზე და აგრეთვე სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულების მოსამსახურეებზეც ხელშეკრულება არ გავრცელდება ადმინისტრაციულ თანამდებობით მქონე პირებზე.

მთავრობის ზედამხედველობა.

დამფუძნებელ კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ მოიწონა და დაადასტურა ფინანსთა მინისტრის პროექტი დეკრეტისა, რომლის ძალით ფაბრიკების და ქარხნების პატრონებს ევალებათ დაფარონ იმ მოხელეების ხარჯები, რომლებსაც გაგზავნის მთავრობა მათ ქარხნებში, რათა თვალყური ადევნონ იმ საქონლების წარმოებას, რომლებზედაც დაწესებულია სააქციზო გადასახადი. ახალი კანონით მწარმოებელი, რომელიც წლის პირველ ნახევარში დაიწყებს საქმეს უნდა შეიტანონ ხაზინაში იმ სააქციზო მოხელის მთელი წლის ჯამაგირი, რომელსაც გაგზავნის მთავრობა მის ქარხანაში, თუ მეორე ნახევარში—ნახევარ წლის ჯამაგირი. ამავე კანონის ძალით წარმოების პატრონმა უნდა მისცეს სააქციზო მოხელეს ქარხნის შენობაში 2 ოთახი სამზარეულოთი, წყლით, გათბობით და განათებით. თუ გაგზავნილი იქნება მეორე მოხელე, მის შენახვას ხაზინა იღებს თავის თავზე.

კანონი გადასახადების შესახებ.

11 ივნისს, დამფუძნებელ კრების მიერ მიღებული დეკრეტი გასატან საქონელზე გადასახადის დადების შესახებ ძალაში შედის. ამ დეკრეტით სრულიად აკრძალულია გატანა: ხორბლის, კარტოფილის, გამომცხვარი პურის, ჩაის, ნიგვზის, კვერცხის, ერბოს, სპირტის, მარილის, ქაღალდის, ხორცის და სხ. დანარჩენ საქონელზე დაწესებულია გადასახადი.

ახალციხის წყალსადენი-

დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმში, ეროვნულ ფრაქციიდან შემოსული კანონმდებლობითი წინადადება ახალციხის წყალსადენის შესაკეთებლად საჭირო თანხის მიცემის შესახებ საბიუჯეტო კომისიას გადაეცა. განზრახულია ფული მიეცეს ახალციხის ერობას თავის განკარგულებაში. საბიუჯეტო კომისიამ დაადგინა გადასცეს ეს წინადადება სახელმწიფო კანტროლიორს და ფინანსთა მინისტრს დასკვნისათვის.

ჯანმრთელობის დეპარტამენტი.

განზრახულია შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ჯანმრთელობის დეპარტამენტი დაარსონ. შესაფერ კანონ-პროექტს ჯანმრთელობის და საბიუჯეტო კომისიები უკვე იხილავს. შინაგან საქმეთა სამინისტროს შეხედულობით ახალი დეპარტამენტი უნდა იქნეს ის ცენტრალური დაწესებულება, სადაც შეიკრიბება მთელი მედიკოსანიტარული ხასიათის საქმეები. განზრახულია ასეთი დეპარტამენტი ამ თვეშივე დაარსდეს.

ფრონტისათვის

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის ფულითა და ნივთებით შემოწირულებათა ანგარიში.

№ 1,000 მ., ნ. ბ. ჩედია 50 მ., დ. მ. შარაშენიძე 100 მ., ნ. ვუნდერი 50 მ., დ—რი იშხნელი 100 მ., ელ. დუჟავა 15 მ., ვლ. გოგაძე 21 მ., კაპ. მხეიძე 300 მ., გ. აბხაზავა 10 მ., ავ. ჟამამონცი 50 მ., მიკ. მუშეგიანცი 100 მ., სარ. პატვოკანიანი 100 მ., მიხ. იგითოვი 40 მ., ივ. შევჩუკი 10 მ., დ. პოპოვი 10 მ., ტ. ხუციევი 50 მ., ნ. გულიერდოვი 300 მ., ს. თაქთაქიშვილი 100 მ., გ. გოზალოვი 50 მ., გაბ. აფციური 50 მ., ვ. წელაური 25 მ., აბ. ზიზოვი 50 მ., მაქ. სტეფანოვი 50 მ., რ. ირემაშვილი 50 მ., გ. თოროზოვი 20 მ., ფ. გძელიშვილი 10 მ., ი. აჯემელაშვილი 300 მ., თედ. კრივუცი 500 მ., ქ-ნი კონტრატიევი 50 მ., ჰაპოვი 10 მან., ალიკვანოვი 10 მ., ევლიევი 17 მ., კარამოვი 5 მ., ხანდაროვი 10 მ., არიუტინოვი 10 მ., კარაილიანოვი 100 მ., ბაბანოვი 50 მ., კარაილიანოვი 50 მ., ლოლუა 50 მან., არეშევი 300 მ., ტერ-საგატელოვი 10 მ., იაკოვლევი 10 მ., კოვალიოვი 15 მ., იაკოვლევი 10 მ., ხარკოვი 10 მ., სარიკოვი 6 მ., იაკოვლევი 5 მ., ტერ-საგატელოვი 15 მ., შატვაროვი 20 მ., ღლონტი 100 მ., კაჭახიძე 100 მ., ნაკაშიძე 100 მ., დემუროვი 100 მან., მაჭარაშვილი 500 მ., ნ. ყანჩელი 100 მ., ტრეტოვსკი 100 მ., ახრახაძე 100 მ., № (კვიტანცია № 58) 500 მ., წიგნ. ჟუკოვი და ამხ. 150 მ., გ. სტეფანოვი 100 მ., ტიმბანიანცი 100 მ., კოოპერატივი „ედინენიე“ 500 მ., ი. ტ. სატელოვი 50 მ., გრ. გამბროვი 25 მ., ივ. სარქისოვი 40 მ., მ. სტეფანიანცი 50 მ., დ. ლოგდანოისი 25 მ., ს. ივანიდისი 13 მ., არშ. მირზოევი 100 მ., ა. ეფრემენკო 30 მ., ს. ავაკოვი 30 მ., ჰ. ა. იაკოვლევი 20 მ., ბრ. ბაპრამოვი 100 მ., ჰ. გოკრიჩინი 20 მ., ფანიაშვილი 50 მ., ავ. აკოპოვი 20 მ., სახიკოვი 17 მ., ს. ბურდული 50 მ., მ. ბეკაური 10 მ., ი. ა. რუტინოვი 15 მ., მ. ოსიპოვი 5 მ., ა. მ. სტადუროვი 5 მ., ბ. ბალდასაროვი 50 მ., პარიკლი 50 მ., მ. ჩეჩურაისი 20 მ., ქავ. ემებეგოვი 10 მ., ა. შატვაროვი 30 მ., ი. მჭედლიშვილი 30 მ., მღ. ტერ-გრიგორიანცი 3 მ., ელცი 100 მ., თედ. მირტი 50 მ.

ტფილისის სასწავლებლის მოწაფეებიდან ჩანთებში შეხვეული საჩუქრები—3566 ცალი.

ამხ. „არგო“-საგან: 200½ ბოთლი კონიაკი და 1 ბოთლი ლიქიორი.

კოჩიევისაგან: სარეცხი საპონი 20 ფუთი, ჩაი 3 ფუთი, პირსაბანი საპონი 48 ცალი.

ბრმათა სასწავლებლის მოწაფეებიდან: ერთ მოქსოვილ პარკში 10 ცალი საჩუქრები.

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან: კონვერტები 337 ცალი, ქლიავი 8 ფუთი, შოკოლადი 134 პლ. (2 ფ. 34 გირ.), გალეტი 5 ფუთი.

ტფილისის პუშკინის კერძო სასწავლებლისაგან: საჩუქარი 30 პარკი.

სახალხო უნივერსიტეტისაგან: ასანთი 63 პაჩკა, პაპიროსის ქაღალდი 10 პაჩ., თუთუნი 2 პაჩ., საპონი 2 ნაჭერი, ყავა 1 კოლოფი, მუნდშტუკი 1 ცალი, კარავი დიდი 1 ცალი.

რკინის გზის მოხელეთაგან შეგროვილი: საჩუქრები პარკებში 400 ცალი. მოდიდო პარკი 1 ცალი.

კოოპერატივ „ედინენიე“-საგან: პაპიროსის ქაღალდი 5 პაჩკა, ფოსტის ქაღალდი 5 პაჩ., კონვერტი 200 პაჩ., ნემსები 10 პაჩ., საპონი 36 ნაჭერი, ჩაი 10 გირ., პაპიროსი „გალეტი“—26 კოლოფი.

P. S. აქ მოყვანილი ანგარიშიდ თუ შეცდომას შეიცავს, კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს ყველას დაუყონებლივ ეცნობოს ეს გარემოება მთავარ კომიტეტს, ტფილისი, სასახლე).

სამხედრო ცნობა

ტფილისი, ივნისის 11.

ცხინვალის მიმართულებით, ზორტის ყელის რაიონში და გოდერძის უღელტეხილის მიმართულებით მზვერავთა მოქმედებაა. სხვა მიმართულებებზე სიწყნარეა.

სენატორ როინიშვილის რევიზია თელავში

4 ივნისს სიღნაღიდან ამოიარა თელავის სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებების, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონდათ სამხედრო ბევარასთან სარევიზიოდ, სენატო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმა როინაშვილმა, რომლის რევიზიის შემადგენლობაში შედიოდენ: ოლქის სასამართლოს წევრი ორჯონიკიძე, გენერალურ შტაბის ოფიცერი მაიორი ასათიანი და საგანგებო საქმეთა მოხელე მიქელაძე.

თელავში მოსვლის უმალვე მათ გაეცნენ თელ. ერობის გამგეობის თავმჯდომარე ლ. ვახვახიშვილი, თავმჯდ. ამხ. ნ. რამიშვილი და ერობის სამხედრო განყოფილების გამგე ივ. პაატაშვილი.

5 ივნისს დილით ადრევე შეუდგნენ დაწესებულებათა რევიზიას თელავის სამხედრო ოლრიცხვის ნაწილში, ერობის სამხედრო განყოფილებაში და მაზრის და ქალაქის მილიციაში.

ერობაში სენატორი თავის შემადგენლობით დიდი ხანი დარჩა და საქმეებს დაწვრილებით გაეცნო. აქ ერობის სამხედრო განყოფილების გამგე ივ. პაატაშვილმა ვრცელი მოხსენება გაუკეთა როგორც საერთოდ სამხედრო ბეგრის შესახებ, ისე მობილიზაციაზე და კერძოთ სხვა და სხვა საკითხებზე. მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს თვით სენატორ როინიშვილის გარდა, რევიზიის დანარჩენ წევრებმა, ერობის გამგ. თავმჯდომარე ლ. ვახვახიშვილმა და სამხედრო ნაწილის უფროსმა ბ. ელბაქიანმა და თვით მომხსენებელმა. სენატორი როინიშვილი კმაყოფილი დარჩა საქმის რიგიანად წარმოებით.

ვ-ნ-დელი

დეპეშები

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

ფრანგული პრესა.

გარეშე საქმეთა კომისიამ ხუთშაბათს დილით მოუსმინა საბჭოს თავმჯდომარე მილიერანს, რომელმაც გააკეთა მოხსენება აღმოსავლეთის საკითხებზე და კერძოთ მთავრობის პოლიტიკის შესახებ.

ფინანსთა მინისტრმა საფრანგეთის პრესის წარმომადგენელს ოთხშაბათს გაუმართა საღილი, რომელსაც დაესწრენ ინგლისის ელჩი ლორდი დერბი. აუხსენით თქვენს მკითხველებს, უთხრა მას მინისტრმა, რომ ჩვენი ქვეყნის მიწის მხვნელ-მთესველნი, გლეხები და მეგენახენი, ღირსებით მისდევდენ სხვა დეპარტამენტების თავის კომპატრიოტთა მაგალითს. იქ, სადაც ოდესღაც თქვენი ტომები ისვენებდენ, იზრდება არტუასი და პიკარდიის პური, აფრიცხველი ლტოლვილები უკვე დაუბრუნდენ უკან თავის სოფლებს და თავის სახლკარს. მუშაობენ რა თავისი ძალლონით, ისინი ელიან ძმურ დახმარებას, რომლის გაწევასაც საერთო შეწევნით ფიქრობს რესპუბლიკის მთავრობა. არდენის, ქუაზის, სომის, ჩრდილოეთის, პა-დე-კალესი და ლორენის მცხოვრებმა ჯარისკაცებმა მოინდომეს, რომ მათმა ამ წელშივე დამუშავებულმა ყანებმა ხელი შეუწყოს ეროვნულ აღორძინებას. ბევრ რამეში მიაღწიეს მათ ამას. საფრანგეთის პარლამენტი, რომელიც მთელი ფრის სურვილების გამომხატველია, თავისი ნებით დაეთანხმა მძიმე გადასახადების შემოღებას, რადგანაც იგი დარწმუნებული იყო, რომ საფრანგეთის მოქალაქენი იმგვარათვე ენერგიულად აასრულებენ თავის მოვალეობას ამ საქმეში, როგორც ეს მილიონობით ჯარში მოწვეულებმა შეასრულეს 1914—1918 წლებში. ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობა ექიშპება ჩვენი სოფლის მეურნეობას. საფრანგეთის ნაყოფიერება და ჩვენ ძალთა დაფასება ჩვენ საფუძველს გვაძლევს იმედით შევხედოთ ჩვენს მომავალს. მარსალმა გაათავა თავისი სიტყვა იმის მოგონებით, რომ იგი ყოველთვის მომხრე იყო საფრანგეთისა და ინგლისს შორის წყალქვეშა გვირაბის გათხრისა და რომ მას ეხლა ბევრად უფრო, ვიდრე ოდესმე სჯერა ამ გვირაბის ეკონომიური და პოლიტიკური სარგებლიანობა. უნდა ვიფიქროთ, რომ პურის მოსავალი 75—80 მილიონი კვინტამდე იქნება.

კვინტი—100 გირვანქას ან მეტი სისტემით—100 კილოგრამია. შარშან კი 5,800,000 მოსავალი იყო, იმედია, რომ თუ ცოტა ქვავს მიუმატებდით პურის შემოზიდვა ალარ დაგჭირდებოდა, და ეს სრულიად გვეყოფაო. ქერის მოსავალი საუცხოოა. მშვენიერმა ამინდებმა საუცხოოდ გახადა სათიბები. თივაზე ფასი ნახევრად დაეცა. ვენახები ასცდა ჯერ ჯერობით დაავათმყოფებას. თუ ასე გაგრძელდა უნდა მოველოდეთ საუკეთესო (დამახინჯებულია). ხმელ მწვანილეულობასაც კარგი პირი უჩანს. ძლიერ კარგია კარტოფილიც. საკვების სიმრავლე გააძლიერებს სარძევე მეურნეობას, რაც მცხოვრებთა საზრდოს და შინაური საქონლის გაძლიერებას ხელს შეუწყობს. ამასთანავე მოულოდნელად შექმნილი მდგომარეობა ძლიერ ხელს შეუწყობს ცხოვრების გაიაფებას. (დასასრული არ მიგვიღია).

გარეშე საქმეთა სენატის კომისია იხილავს აღმოსავლეთის საკითხს.

(დასაწყისი დამახინჯებულია) საფრანგეთიდან სტოკჰოლმში, რათა რუსული რენტის მქონე ფრანგების სახელით სთხოვს სეკვესტრი დაადვას იმ თანხებს, რომელიც მოთავსებულია ამ ქალაქის ბანკებში ბალშევიკურ მთავრობის მიერ. ამგვარი თხოვნით მიმართავენ ლონდონს, სადაც სულ უახლოეს დროში ბალშევიკების მიერ დაჭირავებულმა გემმა უნდა მიიტანოს ოქრო და თუთხმეტ (დამახინჯებულია) რუსეთის სესხზე ფრანგული ხელის მომწერლების მიერ.

ხუთშაბათს, საღამოთი უნგრეთის დელეგაციამ, თავის თავმჯდომარის გარდა, ვერსალი დასტოვა, პარასკევს გამოვიდა პარიზიდან ოსმალეთის დელეგაციის ნაწილი.

ნიტტიმ განუცხადა რა პალატას ახალ კაბინეტის შედგენა, დაუმატა, რომ ახლად შექმნილ მდგომარეობის გამო მთელი კაბინეტი გადადგაო. გადადგა აგრეთვე იტალიის პალატის თავმჯდომარე ორლანდო.

ხალხთა ლიგის აღმასრულებელი საბჭო შეიკრიბება ორშაბათს ლონდონში, რათა განიხილოს პრინც ფირდეუზის მიერ გადაცემული სპარსეთის თხოვნა მის საქმეებში ჩარევის შესახებ. სხდომაში მონაწილეობას მიიღებს ლოიდ ჯორჯი.

დასავლეთ პრუსიაში პლებისციტი 11 ივნისს მოხდება.

სპაში კონფერენცია 5 ივლისამდე არ შესდგება.

გერმანიის არჩევნებმა შემდეგი შედეგები მოიტანა: მეუმრავლესე სოციალისტებმა მიიღეს 100 ადგილამდე. დემოკრატებმა 40, კონსერვატორია ზომიერ ნაციონალისტთა და ცენტრთა პარტიებმა სამოც სამოცი, დამოუკიდებელმა 80, კომუნისტებმა 2.

გერმანიის კაბინეტი გადადგა. ებერტმა მილლერს დაავალა ახალი კაბინეტის შედგენა.

სოფლის ძველი მეურნეთა სიტყვით, არ ახსოვთ, რომ ოდესმე მოსავალს ისეთი კარგი პირი ჰქონოდეს როგორც წელს უჩანსო.

უცხოეთი

ოსმალეთის ლიბერალურ პარტიაში.

ოსმალეთის ლიბერალურ პარტიაში განხეთქილება მოხდა. პარტიიდან ბევრი ლიდერი გავიდა. ფიქრობენ ახალ პარტიის დაარსებას.

რუმინია, ავსტრია და ბალშევიკები

ლონდონიდან მოსულ ცნობით რუმინიის და ავსტრიის მთავრობებს მტკიცედ გადაწყვეტიათ, რომ ყოველგვარი ზომები მიიღონ ბალშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად.

შეთქმულება დიდი ვეზირის წინააღმდეგ.

როგორც კონსტანტინეპოლიდან იტყობინებიან, იქ აღმოუჩენიათ შეთქმულება დიდი ვეზირის დამად-ფერიდ-ფაშის წინააღმდეგ.

ფრაკიის შემოერთება.

საბერძნეთმა შეიერთა ფრაკია. მთელი დასავლეთი ფრაკიის ოკუპაცია მოხდა. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის გენერ. ზიმვრაკაკს. მოსალოდნელია, რომ მალე აღმოსავლეთის ფრაკიასაც შეიერთებენ ბერძნები.

ლიტვინოვის წინააღმდეგ.

დანიის პრესა უკმაყოფილოა ლიტვინოვის დანიაში ყოფნით. პრესა მოითხოვს, რომ დაუყონებლად ლიტვინოვი წავიდეს რუსეთში, ვინაიდან ბალშევიკური პროპაგანდას, რომელსაც აქვს ადგილი დანიაში — ეს ლიტვინოვის საქმეაო.

არაბები და სან-რემოს კონფერენცია.

გაზეთ „ჰუმანიტეს“ მიუღია ქაირიდან სირიელებისგან პროტესტი სან-რემოს კონფერენციის გადაწყვეტილების შესახებ სირიაზე. სირია და არაბები უკმაყოფილებას აცხადებენ და თხოულობენ საკითხის გამოსწორებას.

საბჭოთა ოდესაში.

ტფილისში უკრაინის მისიამ ცნობები მიიღო ოდესის მდგომარეობის შესახებ. უკრაინის ჯარი ქალაქს არტყია. ანტისაბჭოთა მოწინავე ჯარი ოდესიდან 8 ვერსზე იმყოფება. ქალაქში საბჭოთა ჯარი ცოტაა. საბჭოთა ზოგიერთი დაწესებულებების ევაკუაცია უკვე მოხდა. ქალაქში გაძლიერებული ტერორი ბ ძარცვა-გლეჯაა. მიღებული ცნობებით, უკრაინელებს შეეძლოთ ქალაქის აღება, მაგრამ მათ სამოქალაქო აპარატი არა აქვთ კარგათ მოწყობილი და ამიტომ არ სურთ აიღონ თავის თავზე მცხოვრებთა პასუხისმგებლობა, რომელიც საშინელ სასურსათო კრიზისს განიცდის. უკრაინის მისია გადმოგვცემს, რომ ბათომიდან მიღებული ცნობებით ოდესა უკვე აღებულიაო.

ხ ა რ კ ო ვ ი.

ხარკოვში სასურსათო საკითხი ძლიერ მწვავედა სდგას. ქალაქში სიმშილობაა. ქალაქში სისუფთავე და წესიერებაა. ქუჩებს, მოედნებს, ყაზარმებს ასუფთავებენ არა მშრომელი მცხოვრებნი. სდევნიან მხოლოდ იმ პირთ, რომლებიც მოხალისეთა ჯართან სიახლოვით სახელგატეხილი არიან. ძარცვა-გლეჯა ადარ ხდება. გაზეთები ხალხს პოლონელების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებენ.

ახალი ამბები

ლტოლვილ რუსების ბედი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩრდილოეთ კავკასიიდან ლტოლვილთა, ტფილისის კომიტეტისაგან შემდეგი განცხადება მიიღო: „რუსი ლტოლვილები, რომლებიც საქართველოს მთავრობის წინადადების თანახმად განწესრიგებულნი იყვნენ მცხეთის, ბორჯომის, სურამის, ქუთაისის, ტფილისის და ფოთის ლტოლვილთა პუნქტებში, აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდენ. არა აქვთ რა საშუალება მიიღონ, რაიმე სამუშაო, ისინი საშინელ შიმშილს განიცდიან. დახმარება, რომელსაც ამდენხანს მთავრობა და ლტოლვილთა კომიტეტი აძლევდა, ვერ იქნება ხანგრძლივი. ამიტომ საჭიროა ლტოლვილებს კოლექტიურ შრომის და თვითდახმარების ორგანიზაციის მოწყობის საშუალება მიეცეს. ამისთვის საჭიროა შემდეგი ზომების მიღება: ლტოლვილები კატეგორიულად უნდა დაიყოს, უნდა მოეწყოს სასადილოები და საჩაიები, უნდა გაიხსნას „შრომის სახლიც“, სადაც შეიძლება ლტოლვილთა შრომის გამოყენება სახელდობრ: მკერავების, მეჩექმეების და სხ. პირველ რიგში კომიტეტს განზრახული აქვს გახსნას ასეთი სასადილოები და შრომის სახლი ტფილისში, ფოთში, და ქუთაისში. შინაგან საქმეთა სამინისტრომ შესაძლოთ სცნო ჯერჯერობით დართოს ნება კომიტეტს გახსნას სასადილო და შრომის სახლი მხოლოდ ქუთაისში.

მადლობა საქართველოს მთავრობას. ელლინთა ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მადლობით მიმართა საქართველოს მთავრობას და შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ დახმარებისათვის, რომელიც აღმოუჩინა მან ბერძნებს ფულით, სურსათით და მედიკურ მასალებით.

ავათმყოფთა ეტლებით გადაყვანის კრძალვა. ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა აკრძალოს ეტლით გადაყვანა ისეთ გარდაცვალებულთა და აგრეთვე ავათმყოფთა, რომელნიც გადამდებ სენით არიან ავათ. ამ დადგენილების ასრულება ევალებათ მილიციის უფროსებს. ის, ვინც არ აასრულებს დადგენილებას დათხოვნილი იქნება სამსახურიდან, ან დაჭერილი იქნება სამი თვით.

საჩუქრები ფრონტს. მუშათა კავშირმა „სურსათმა“ ფრონტზე ორი პარტია საჩუქრები გაგზავნა: სადახლოს ფრონტზე გაგზავნა 350 ბოთლი კონიაკი, 36 ვედრო ღვინო, 30 გირ. მონპასიე, საპონი და ძაფი. ახალციხის ფრონტზე გაიგზავნა ღვინო, კონიაკი და სხვა. ამის გარდა ტფილისში სახალხო გვარდიელთა ლაზარეთს გადაეცა 5 ფუთზე მეტი „სუხარი“, გიგროსკოპიული ბამბა, 700 ბოთლი ლიმონათი. კავშირი განაგრძობს ენერგიულად ფრონტზე გასაგზავნ საჩუქრების შეკრებას.

საფოსტო კავშირი. მთავრობის უკანასკნელ სხდომაზე, ფოსტა - ტელეგრაფის უფროსის დ. ს. მგელაძის მოხსენებით დაადგინეს: მთელი ქვეყნის საფოსტო კავშირის ბერნის კონფერენციის მომართვის თანახმად, შევიდეს ამ კავშირში, როგორც სრულ უფლებიანი წევრი. კავშირის ბიუროს შესანახათ საქართველომ უნდა შეიტანოს 2000 ფრანკი და უნდა გაგზავნოს საქართველოს მარკის ყოველი ნიმუშის 383 ცალი, რათა იგი მთელი ქვეყნის საფოსტო კავშირის ყველა სახელმწიფოს გადაეგზავნოს.

სალიტერატურო სასამართლო. 16 ივნისს არტისტიულ საზოგადოების თეატრში მოხდება მოსკოვის სამხატვრო თეატრის გასამართლება. თავმჯდომარეობს ნაფიც. ვექ. ი. მ. დოლუხანოვი. იცავს მ. ლ. მანდელშტამი, ბრალს სდებს ნაფ. ვექ. კ. დ. ზელენსკი და ნაფ. ვექ. მ. ი. შრეიდერი. უკანასკნელ სიტყვას იტყვიან თვით სამხატვრო თეატრის არტისტები კაჩალოვის მეთაურობით. ბილეთები თეატრის კასაში იყიდება. შემოსავლის ნაწილი გადაიდება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებისათვის, ნაწილი კი ჟურნალისტთა კავშირის ურთიერთ დამხმარე კასისათვის.

ლექციები სოფლად. ტფილისის ერობამ მოიწვია ლექტორი ი. ნაკაშიძე სოფლებში გლეხებისათვის გასაგებ თემაზე ლექციების წასაკითხავად.

ბოროტ-მოქმედება პურის ბარათებით. მომარაგების სამინისტრომ პურის ბარათებით მომხდარი ბოროტ-მოქმედება აღმოაჩინა. გამოირკვა, რომ ბარათების რიცხვი აღემატება მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვს, რომელთაც უფლება აქვთ პურის მიღებისა. ამის გამო მუშათა მაგიდასთან გაძლიერდა კანტროლი. მომარაგების სამინისტრო აღნიშნავს, რომ მარტო კანტროლის მოქმედება არ არის საკმარისი ბოროტ-მოქმედების აღმოსაფხვრელად, და იმედს გამოსთქვამს, რომ კანტროლს თვით საზოგადოება დაეხმარება.

სოციალური დახმარება ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთ. სამხედრო სამინისტრომ წინადადება მისცა შრომის სამინისტროს, რომ მან მიიღოს საჭირო საღსარი შრომის უნარ დაკარგულ იმ ყოფილ სამხედრო სახელმწიფო მოსამსახურეთა სოციალური დახმარების აღმოსაჩენად, რომელნიც ჩამოთვლილი არიან 1919 წლის 31 იანვრისა და 10 ივნისის კანონებში. შრომის სამინისტრომ, დაინახა, რა ზემოაღნიშნულ კატეგორიებისათვის დაუყონებლივ სოციალური დახმარების აღმოჩენის საჭიროება, სათანადო მოხსენება წარადგინა მთავრობაში.

მომარაგებელ კამერის წესდება. გ. ზ. ჩაჩიბაიას თავმჯდომარეობით შემდგარმა განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელიც კამერის წესდების შესამუშავებლად გამოყოფილია კამერის ტფილისის ცენტრალურ მომარაგების კამერიდან, აზრი გამოსთქვა მესამე ორგანიზაციის შესახებ, რომელიც იქნება კამერისათვის საკასაციო ინსტანციათ და შესდგება ორი წევრის და შრომის მინისტრისაგან, ან მის მიერ საგანგებოდ დანიშნულ პირისაგან.

სტოლერმანის საქმე სენატში. 11 ივნისს სენატში საპროკურორო ზედამხედველობის პროტესტის გამო, ტფილისის დროებითი საგანგებო სასამართლოს მიერ გასამართლებელ განაჩენის შესახებ სახელმწიფო თეატრის დირექტორის ს. სტოლერმანის საქმე ირჩეოდა. საქმეზე მოხსენება გააკეთა სენატის თავმჯდომარე ი. მ. ჯაფარიძემ. დამცველებად გამოვიდენ ნაფ. ვექ. შ. ვ. ალექსიმესხიშვილი, მ. ემუხვარი და მ. ლ. მანდელშტამი. დასკვნა მისცა სენატის პროკურორმა გელაზაროვმა, რომელიც განაჩენის გაუქმებას მოითხოვდა, რადგან ეჭვები აღიძრა ბოროტ-მოქმედების დროს დამნაშავის მდგომარეობის შესახებ. ორივე მხრის მოსმენის შემდეგ სენატმა გამოიტანა რეზოლიუცია საგანგებო სასამართლოს განაჩენის გაუქმების შესახებ.

ტარიფის ხელახალი გადახედვა. პროფ. კავშირის საბჭოს სეკრეტარიატმა 10 ივნისის სხდომაზე დაადგინა წინადადება მისცეს სატარიფო პალატის მუშათა ფრაქციას, რომ მან მოსამსახურეთა და მუშათა მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო ხელფასის ნორმის გადიდების შესახებ საკითხი აღძრას.

ერთდროული დახმარება მუშა-მოსამსახურეებს. შრომის სამინისტრომ, რომელიც მოსამსახურეთა და მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მზრუნველობს, გამოიმუშავა მთავრობაში შესატანათ მოხსენება, რომ ყველა სახელ. დაწესებულებებში მოსამსახურეთ და მუშებს მიეცეთ ერთდროული დახმარება: დახმარების აუცილებლობას ახალი მოსავალის პერიოდის მოლოდინით ასაბუთებენ. შრომის სამინისტროს პროექტში აქვს დარიგება ერთი თვის ჯამაგირისა, მაგრამ არა უმეტეს 3 ათასი მანეთისა. შრომის სამინისტროს პროექტის მთავრობის მიერ მოწონების შემდეგ სათანადო მოსაზრება მოსაწონებლად საჩქაროდ წარედგინება დამფუძნეელ კრებას.

იუსტიციის მინისტრის გაგზავრება. 11 ივნისს სამსახურის გამო ტფილისიდან დუშეთში გაემგზავრა სასამართლო პალატის პროკურორი ტატიშვილთან ერთად იუსტიციის მინისტრი რ. მ. არსენიძე.

ფქვილი მცხოვრებთათვის. სასურსათო განყოფილების ცნობით წისქვილები დღე და ღამეში 4000 ფუთს ფქვავენ. წისქვილების მუშაობას დაუნიშნეს მკაცრი მეთვალყურენი. ამის გამო გაძლიერებული იქნება მუშაობა და დააკმაყოფილებენ როგორც მუშათა მა-

გიდას, ისე კერძო მომხმარებელთ. ქალაქში მომუშავე წისქვილებიდან ერთი გადაეცა საქართველოს რკინის გზის მუშებს მათი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მეორე კი კახეთის რკ. გზ. მოსამსახურეებს.

ერობის სკოლა. ტფილისის ერობის საშკოლო განყოფილება ტფილისში მასწავლებელთა მოსამზადებლად სკოლას ხსნის.

საზღვარ-გარეთ ღვინის დაყენების შესწავლა. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან არსებულმა ეკონომიურმა საბჭომ აღიარა სასურველად, რომ საზღვარ-გარეთ გაგზავნილი იქნას საგანგებო კომისია ღვინის დაყენებისა და მეღვინეობის საქმის შესასწავლად. ეკონომიური საბჭოს აზრით ამ კომისიის შემადგენლობა უნდა დანიშნოს მიწათმოქმედების სამინისტრომ მეღვინეობის ყრილობის საბჭოსთან შეთანხმებით. ამავე კომისიამ უნდა მიიღოს ზომები საფრანგეთის დაწესებულებასთან კავშირის დასაჭერად დასამყნელი მასალის შეძენის მიზნით. აგრეთვე მან უნდა უზრუნველყოს საქართველო ამერიკის ლერწით ფილოქსერასთან საბრძოლველად. კომისიაში 3 კაცი უნდა შევიდეს.

ხასამართლო დაწესებულებებში. იუსტიციის მინისტრმა წინადადება მისცა სასამართლოს ყველა დაწესებულებებს 15 ივნისიდან მუშაობა დაიწყონ 8 საათზე. სასამართლოს სხდომა დილის 9 საათზე იწყება.

ტფილისის უზრუნველყოფა შემი. ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილების ანგარიშით ტფილისს მომავალ ზამთარში დასჭირდება 30,000 კუბ. საჟ. შეშა. სასურსათო განყოფილებას ეჭვი არ შესდის, რომ ეს რიცხვი შემოდგომისთვის ტფილისში მოტანილი იქნება. ამ ჟამად შეშას ამზადებენ ერთ მხრივ ქუთაისის სატყეო რაიონში და მეორეს მხრივ კახეთში, სადაც ჯერ კიდევ 1919—1915 წლის შეშაა დამზადებული. ამ შეშის უმეტესი ნაწილი შენარჩუნებულია. იმერეთის რაიონში უკვე 10,000 კუბ. შეშაა დამზადებული.

სასურსათო განყოფილების მოქმედება. 1920 წ. სასურსათო განყოფილებამ შეადგინა ანგარიში 1920 წელში თავის მოქმედების შესახებ. ამ ანგარიშის თანახმად სასურსათო განყოფილების საწყობებში მაისში იყო 65 მილიონი მან. სხვა და სხვა საქონელი, იმ დროს, როდესაც 1919 წ. ახლანდელი ფასით, მხოლოდ 20 მილიონის საქონელი იყო. ეხლა 20 მილიონის ფართალი და 45 მილიონის სურსათია.

ქალაქის მოსამსახურეთა ნამსახურობის სიები. ქალაქის თვითმართველობამ მიმართა წინადადებით ქალაქის განყოფილებებს შეადგინონ ქალაქის დაწესებულებებში მოსამსახურეთა ნამსახურების სიები. განყოფილებებმა პერიოდიულად უნდა მიაწოდონ ყველა ცნობები, როგორც ახლად შემოსულ პირების შესახებ, აგრეთვე იმ პირების შესახებ, რომლებიც დათხოვნილი იქნებიან სამსახურიდან.

ქალაქის სანიტარული მდგომარეობა. ქალაქის თვითმართველობის მედიკო-სანიტარული ბიუროს ინსპექტორი აღნიშნავს, რომ ქალაქი და უფრო კი მისი განაპირა უბნები ცუდ სანიტარულ მდგომარეობაში იმყოფებიანო. ამიტომ ქალაქის თვითმართველობამ გადაწყვიტა მიიღოს საჩქარო ზომები ქალაქის სანიტარიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

უბედური შემთხვევა. 10 ივნისს დილით ჩერქეზიშვილის ქუჩაზე სასწავლებელში მიმავალ ათი წლის მოწაფე მიშო ეიგერაძეს დაეჯახა საბარგო ავტომობილი და ქვეშ მოიტანა. ბავშვმა იქვე დალია სული. საჭიროა შოფერების გაუფრთხილებლობას საზღვარი დაედოს.

ტფილისის გენერალ-გუბერნატორის სავალდებულო დადგენილება. ტფილისის გენერალ-გუბერნატორის მიერ შემდეგი განცხადება არის გამოქვეყნებული: ამა წლის 2 ივნისს გაცემულ სავალდებულო დადგენილების დამატებით საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომ მოქალაქეთა მიერ საბუთების მიღების ვადა, რომელნიც ამოწმებენ მათ სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულებას, გაგრძელებულია კიდევ ერთი კვირით, ესე იგი 23 ივნისამდის.

ბუჰლალტერიის კურს დამთავრებულნი. 1-ლი ქართული ბუხჰალტერიის კურსი 8-ნ საათაშვილისა 5 ივნისს 1920 წელს IV ჯგუფიდან დაამთავრეს შემდეგმა მოწაფეებმა: 1. ამაშუკელი გრ. 2. ბაკურაძე გალინა, 3. ბორჩხაძე გიორგი, 4. გორდელაძე ეფრო, 5. გეცაძე გიორგი, 6. მამალაძე ხარიტონ, 7. მგალობლიშვილი ნიკიფო, 8. მგალობლიშვილი სიმონ, 9. ჩაჩანიძე პავლე, 10. ჩოველიძე სანდრო, 11. ჩიგოგიძე ივპატო, 12. ქაჯაია ალექსანდრა.

ტფილისის სამაზრო ერობამ ტფილისის სამაზრო ყველა სახალხო შკოლას გაუგზავნა ცირკულიარი, რომ იმ სოფლებში, სადაც ყანების მუშაობა სწარმოებს, მეცადინობა დილის 6 საათზე დაიწყონ.

ერობა

სოფელთა საჩივრები.

გენერალ-გუბერნატორის კანცელარიამ აღმოსავლეთ საქართველოს ყველა სამაზრო ერობების გამგეობებს შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა. ამ უკანასკნელ დღეებში შემოდის სოფელთა მრავალი სიჩივარი იმის გამო, რომ ცხენების უკანასკნელ მობილიზაციის გატარების დროს ადმინისტრაცია და მიმღები კომისია აკავებს იმ ცხენებს, რომლებიც ერთ მაზრაში გასინჯვისა და განთავისუფლების შემდეგ მეორე მაზრაში გადავიდენ, რაც ძლიერ აბრკოლებს თავისუფალი მიმოსვლის ცუდ გავლენას ახალ სასოფლო მეურნეობისა და მესაქონლეობაზე, ამის გამო წინადადებას ვაძლევთ, არავითარ შემთხვევაში არ დააკავოთ ცხენები, რომელნიც ამ მიწების გამო განთავისუფლებულია ერთ რაიონში იმ პირობით, რომ მეპატრონეებმა ცხენების განთავისუფლების მოწმობა წარმოადგინოს.

გატანა საზღვარ გარეთ.

კოდორის ერობის ყრილობამ და გუდაუთის სამაზრო ერობის გამგეობამ შუამდგომლობით მიმართა მომარაგების სამინისტროს მისცეს მათ უფლება გაიტანონ საზღვარ გარეთ 15000 ფუთი ფურცლოვანი თამბაქო, იმ მიზნით, რომ საზღვარ გარეთ ბაზარზე შეიძინონ მაზრისათვის საჭირო საქონელი. აღნიშნული ერობები ამავე დროს სთხოვენ ერობათა კავშირს დაიცვას მათა შუამდგომლობა.

გორის აღდგენა.

გორის სამაზრო ერობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე 20000 მან. დახმარების მიცემის შესახებ, რომელიც ესაჭიროება მას დანგრეულ ქალაქის აღდგენისათვის.

მუნიციპალ. ცხოვრება

ქუჩებში ვაჭრობის აკრძალვა.

ტფილისის ქალაქის თვითმართველობის მედიკო-სანიტარულმა განყოფილებამ მოხსენება წარუდგინა თვითმართველობას ქუჩებში ტკბილეულობით და ცივ სასმელებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ის საგნები, რომლითაც ვაჭრობენ ქუჩებში არ შეადგენენ პირველ საჭიროების საგნებს. ამასთან ერთად სწორედ ეს საგნები არიან ყოველგვარ გადამდებ სენის გამავრცელებელნი.

ამ მოსაზრებით განყოფილება წინადადებას იძლევა ამ აღნიშნულ საგნებით ქუჩებში ვაჭრობის მოსპობის შესახებ. ქალაქის თვითმართველობა დაეთანხმა განყოფილების მოსაზრებას და დაადგინა: აკრძალოს ქუჩებში აღნიშნულ საგნებით ვაჭრობა.

— სატარიფო პალატამ ხელზე მოსამსახურეთა კავშირს აცნობა, რომ თანახმად 31 მაისის სატარიფო პალატის დადგენილებისა, იმ მუშებს და მოსამსახურეებს, რომლებიც არ სარგებლობენ სახელმწიფო მომარაგების ფონდით და არ იღებენ დამქირავებლიდან პურს და სხვას დამქირავებლებმა უნდა მისცენ გარდა სატარიფო პალატის მიერ დადგენილ სამუშაო ხელფასისა განსაკუთრებული ჯილდო სახელდობრ 25% იმ თანხისა, რომელიც განსაზღვრულია სატარიფო პალატის მიერ, მაგრამ არა უმეტეს 40 მან. დღეში თუ მოსამსახურე დღიურად იღებს ხელფასს და არა უმეტეს ათას მან. თუ იგი ამ ხელფასს თვიურად იღებს, დადგენილება ესე შედის ძალაში 1920 წლის პირველ ივნისს.

მარილი მცხოვრებთათვის.

ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილების მიერ მიღებულია 5 ვაგონი მარილი. ამ დღეებში მოელიან კიდევ ათ ვაგონს. სულ ტფილისის მცხოვრებთა საჭიროებისათვის შესყიდულია 50 ათასი ფუთი მარილი.

ქალაქ სილნაღის ხმოსანთა საბჭოში.

ხმოსანთა საბჭომ 31 მაისის სხდომაზე დაადგინა: ქალაქის მოსამსახურეთათვის ჯამაგირის მომატების საკითხი გადადებულ იქნას, ვიდრე სატარიფო პალატა მიიღებდეს რაიმე გადაწყვეტილებას მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატების შესახებ.

— დაენიშნოს ჯამაგირი საბჭოს მდივანს 2000 მან. თვეში.

— კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება ნიხრის შეცვლის შესახებ. ძირითადი მოტივი მოხსენებისა გამოიხატება იმაში, რომ ეხლა, გაზაფხულზე, საქონლის შენახვა ვაჭრებს უჯდებათ გაცილებით ნაკლებად ზამთართან შედარებით და თვით საქონელი, გასუქებული იწონის მეტს. ეს გარემოება საშუალებას აძლევს ვაჭართ იაფათ გაყიდონ ხორცი.

ხმის უმეტესობით (2 წინააღმდეგ) კრებამ მიიღო გამგეობის მიერ წარმოდგენილი შემდეგი ნიხრი:

მამალი ცხვრის ხორცი 40 მ., გირ. დედალის 35 მან., ბატკნის 50 მან., ციკნის 45 მან., ძროხის 25 მ., კამეჩის 15 მ., ცხვრის დუმა 70 მან.

— კრებამ მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ ჯარში გაწვეულ მეომართა ოჯახები განიცდიან გაჭირვებას, დაავალა საგანგებო კომისიას დაუყონებლივ შეავსოს თავისი შემადგენლობა ვაჭრების და ყველა პროფესიის თითო წარმომადგენლით, შეაგროვოს ფული მოქალაქეთა შორის და აღმოუჩინოს დახმარება ჯარში და გვარდიაში გაწვეულ მეომართა ოჯახებს.

დასასრულ ქალაქთა კავშირის ყრილობაზე დასასწრებლად არჩეულ იქნა გამგეობის წევრი ი. გოცირიძე. საბჭომ მეორე დელეგატის არჩევა მიანდო პრეზიდიუმს, თუ გამოირკვა, რომ თავმჯდომარე ი. კრაწაშვილი კრებას ვერ დაესწრება.

ზემო აჭარიდან.

საშინელ უბედურების გზაზე დგას ზემო აჭარა. ქობულეთიდან გადმოსულმა ბანდებმა და ჭვანის ზოგიერთმა მცხოვრებლებმა, რომლებმაც 1918 წელში ოზურგეთი გაძარცვეს, ისეთი საქმე მოიქმედეს, რომლის შედეგი კარგს არ უქადის ზემო აჭარას. ეს ბანდები, რომელთაც ბათუმიდან ავტომობილებით ტყვია-წამალი უზიდეს, თავს დაესხენ ხულოში მდგარ საქართველოს მცირე რაზმს.

ამით ზემო აჭარის მცხოვრებლები დიდათ დამწუხრებულნი არიან, მცხოვრებთა ფართო მასსას არავითარი კავშირი არა აქვს ამ ბანდებთან. მცხოვრებლები თვით შესცდენ, ვინაიდან აქ ხმა გავრცელდა, რომ ამ ბანდებს ხელს უწყობს და აგულიანებს ძლიერი ძალა ინგლისელების სახითო... ხალხი დაშინდა: ჩვენ რომ ამ ბანდებს შევებრძოლოთ, ვაი თუ ინგლისელებმა ჯარი გამოგზავნონ და ამ ბანდებთან ერთად ჩვენ შემოგვიტიეისო...

და მოხდა საშინელი ამბავი. ქართველ ჯარების მეტად მცირე რაზმს უდიდესი შეურაცყოფა მიაყენეს. ხალხი დარწმუნებულია, რომ საქართველო არ მოითმენს ამ შეურაცყოფას. ამბობენ, რომ ბახმაროზე უკვე გამოჩნდა საქართველოს ჯარის ნაწილები. იმასაც ამბობენ, რომ ახალციხიდანაც გადმოვა დიდძალი ქართველთა ჯარი. აქ ხმებია, რომ ოზურგეთშიაც თავს უყრის საქართველო თავის ჯარებს. მთელი ზემო აჭარა, გარდა იმ ბანდებისა, რომლებმაც უდიდესი დანაშაული ჩაიდინეს საქართველოს წინაშე, მოხარულია ქართველი ჯარების შემოყვანისა, მარა ხალხს ეშინია: ვაი თუ ბანდების საქციელის პასუხისმგებელნი ჩვენ გავხდეთო.

ბათუმის ოლქს უსაქართველოთ ცხოვრება არ შეუძლია. განსაკუთრებით შეუძლებელია ზემო აჭარლების სიცოცხლე, თუ საქართველოსთან ერთობა არ გვექნება. მოგეხსენებათ, რომ ზემო აჭარა და ქობულეთის კაი მოზრდილი ნაწილიც საქონლის მოშენებით ცხოვრობს. ამ საქონლებს ზემო აჭარა ზაფხულობით მიერეკება საქართველოს მთებზე, საბალახოებზე. საქართველომ რომ აჭარას გზა დაუკეტოს, მთელი ზემო აჭარის ხალხი უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდება, ვინაიდან მაშინ მას სიმშილით ამოუწყდება თავის საქონელი. ამ დრომდი საქართველო ყოველთვის ძმურ ხელს გვიწვდიდა. არა თუ საქონლების გარეკის ნებას გვაძლევდა საქართველოს მთებზე, არამედ სურსათ—სანოვაგითაც გვეხმარებოდა.

ვაი თუ ყოველთვის საქართველომ არ გამოიჩინოს თავისი სიყვარული ჩვენდამი, ვინაიდან ჩვენში გამოჩნდენ ისეთი პირები, მოსყიდული ავანტიურისტები, რომლებმაც საქართველოს ინტერესებს და ღირსებას ლახვარი ჩასცეს სხვისი დასაქმებით.

ასე ფიქრობს ჩვენი ხალხი. ასე შეწუხებულია ის იმ ამბებით, რაც აქ ჩაიდინეს მოსყიდულმა პირებმა და ამ მოსყიდულების ბანდებმა. („სამ. საქ.").

ზემო აჭარელი.

თეატრალური ქრონიკა

ი. გრიშაშვილის ხალამო.

ივნისის 10-ს სახელმწიფო თეატრში ი. გრიშაშვილმა გამართა თვისი ტრადიციული სალამო. სალამო საინტერესო პროგრამით იყო შედგენილი და „თავისებურობაც" ეტყობოდა. ი. გრიშაშვილმა იცის ალღო როგორ აუღოს საზოგადოებას, როგორ დააინტერესოს და ინტერესს კი ი. გრიშაშვილი ყოველთვის ჩვენს ფართო წრეებში დიდს იწვევს. ამ სალამოსაც აუარებელი საზოგადოება მოიზიდა. პოეტის გამოსვლას სცენაზე ხალხი ყოველთვის აღტაცებით ხვდება.

ი. გრიშაშვილის სალამო ერთად ეროი სალამო უნდა იყოს, სადაც პროგრამის სრულ შესრულებას უეჭველად უნდა მოელოდეთ, რაიც არ ითქმის სხვა გამართულ სალამოებზე.

პირველ განყოფ. დ. უზნაძემ წარმოსთქვა სიტყვა ი. გრიშაშვილის პოეზიაზე. სიტყვა შინაარსიანი იყო დ სწორი დახასიათება გრიშაშვილის შემოქმედებისა. მეორე განყოფილებაში დასდგეს „ცომბირელის" მესამე მოქმ. ი. გრიშაშვილის პუტუამ ხალხი მეტად გაამხიარულა. დანარჩენი აღმასრულებელნი კი ცოტათი მოისუსტებდნენ. მე-3 განყოფილებაში მეტად შინაარსიანი დეკლამაცია იყო. აქ ი. გრიშაშვილმა თავისი ლექსები წაიკითხა და წაიკითხა თავისებურად, „გრიშაშვილისებურად". ი. გრიშაშვილის დეკლამაცია მეტად ორგინალური და დამახასიათებელი არის, პოეტმა იცის რითმის ტემპის აღება და მუსიკალურად ლექსის გახმიანება. დანარჩენ დეკლამატორებიდან აღსანიშნავი არიან ჭიაურელი, მ. გერმანოვისა და აღ. იმედაშვილი. მეოთხე განყოფილება ვოკალურ-სიმღერა-მუსიკას ჰქონდა დათმობილი. ი. გრიშაშვილმა პირველად მოგვასმენინა ახალი ქართული რომანსები ი. კარგარეთელის, დ. არაყიშვილის და თამარ შავერზაშვილისა გრიშაშვილის ლექსზე დაწერილი. მშვენივრად მღეროდნენ: სარაჯიშვილი, ნანობაშვილი, ვოლ ლევიცკაია და ინაშვილი. საზოგადოება კმაყოფილი და ნასიამოვნები დაიშალა.

მადლობა სახელმწიფო თეატრს. მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობებმა თეატრის კომისარს წუწუნავას დ ყველა მოსამსახურეთ, მადლობა გამოუცხადეს იმ მიღებისათვის რომელიც მათ გამოიჩინეს მსახიობების მიმართ. მოსკოველებმა ხაზი გაუსვეს მას, რომ მათი მოსკოვიდან წამოსვლის შემდეგ, მთელი წლის მგზავრობის დროს, მათ იპოვეს ერთად ერთი თეატრი, სადაც მათ თავი იგრძნეს ისე, როგორც მოსკოვში, თავის სამხატვრო თეატრში. მოსკოველებმა სთქვეს, რომ მათ სწყინთ ტფილისის სახელმწიფო თეატრის დატოვება. მსახიობებმა მადლობა გადაუხადეს მოსამსახურეებს იმ დისციპლინისა, კულტურულ და საქმისადმი პატიოსნათ მოპყრობისათვის, რომელიც განსაკუთრებით აღსანიშნავია სწორეთ ეხლა საერთო არეულობის დროს.

რუსეთის ტექნიკური საზოგადოება. ინჟინერთა და ტექნიკების წრემ რუსეთის სატექნიკო საზოგადოების თავმჯდომარის სახელზე განცხადება შეიტანეს საზოგადოების გამგეობის ახალი არჩევნების შესახებ.

თეატრი „კრივოი ჯიმი". თეატრი „კრივოი ჯიმი" ფიქრობს თავისი მოქმედების რეორგანიზაცია მოახდინოს და სერიოზულ ინსცენიროვკას დაუახლოვდეს. ამ ჟამად ამზადებენ სცენაზე სათამაშოთ ბოდლერის, ჰამსუნისა, დოსტოევსკისა და სხ. ნაწარმოებს. სხვათა შორის საზაფხულო სეზონში წავა ორგანიზაციის ახალი ლექსები „ამბები პეტერბურგის მასკარადზე," რომლის მთავარი გმირი იქნება ლერმონტოვი. შემოიღებენ ახალ რამეს—ყოველ სცენიროვკას ექნება პროლოგი ზაფხულის განმავლობაში. ჯიმისტები ფიქრობენ ბორჯომსა და ბათომში გამგზავრებას.

სიმფონიური ორკესტრი. მთელი ზაფხულის განმავლობაში სომხურ კლუბში დაუკრავს სიმფონიური ორკესტრი (სტოლერმანისა და ფიშბერგის ხელმძღვანელობით).

„თეატრი და ცხოვრება"-ს საზეიმო სალამოში კვირას ივნისის 13, სხვათა შორის მონაწილეობენ: პროფ. ს. ავალიანი (სიტყვა „ხელოვნების აღორძინება"), დანი თარხნიშვილები თავისი ძველებურად ჯგუფით (ძველი ქართლ-კახური სიმღერები), დაიდგმის 1 მოქ. დრ. ეტიუდი „ალების ცეკვა", საოპერო სტუდიელები, მგოსნები: ი. გრიშაშვილი, ვ. რუხაძე, დ. ახვლედიანისა, ს. ერთაწმინდელი, დ. ჭანჭათელი, ა. ავალიანი და სხ.

მოწაფეთა კონცერტი. ქართ. სამუსიკო საზ-ბა. კვირას, 13 თიბათვეს, დილის 12 საათზე, სამუსიკო შკოლაში იმართება მოწაფეთა კონცერტი. ქართ. სამუსიკო საზოგადოების გამგეობა მოიწვევს მოწაფეთა მშობ-

ლებს და საზ-ბის ყველა წევრებს კონცერტის მოსასმენად (პეტრე დიდის ქუჩა № 8.)

მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში. დღეს, 12 ივნისს, სახალხო გვარდიის საგანგებო ბათალიონის და საინჟესერო გუნდის კულტურულ განმანათლებელ სექციასთან არსებულ დრამატიულ წრის მიერ, გაიმართება წარმოდგენა კონცერტით. წარმოდგენილი იქნება „ელეონორა“ დრამა 3 მოქ. ა. ყაზბეგის მოთხრობიდან, გადმოკეთებული ნ. გერგესელის მიერ. კონცერტიულ განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო თეატრის ოპერის მსახიობნი ქ-ნი შულგინასი, ბ-ნნი სარაჯიშვილი და ინაშვილი.

მუშათა ცხოვრება

მიმრიგებელი კამერა. (გაგრძელება). მიაჩნია კამერის გადაწყვეტილებათა კასსაციის უფლება, მეთვალყურის წესით, შრომის სამინისტროს მიეცეს იმ პირობით, რომ სამინისტროსთან დაარსებული იქნეს კოლეგიალური ორგანო, რომელშიც სათათბიროს ხმით შევლენ კამერის წევრებიდანაც ისინი, ვინც საქმის განხილვას დაესწრო.

„ნემსის“ პროლეტარების კავშირში. „ნემსის“ პროლეტარების კავშირის საერთო სხდომაზე 7 ივნისს მიიღეს დადგენილება: წინადადება მისცენ მწარმოებელთ ერთი კვირის განმავლობაში ხელი მოაწერენ კოლექტიურ ხელშეკრულებას. იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებლებმა უარი განაცხადეს, მაშინ მიმართონ უკიდურეს საშუალებას—გაფიცვას. გაფიცვის დღე კავშირის გამგეობამ უნდა გადასწყვიტოს. ეს დადგენილება მიღებული იქნა 61 ხმით 2-ის წინააღმდეგ. აირჩიეს 7 კაცისაგან შემდგარი გაფიცვის კომისია.

ბირჟა. სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ დადგენილია შემდეგი ფასი. სტერლინგი ბანკნოტი ღირს—1350 მან. ფრანგული ფრანკი ქაღალდის—26 მან. 50 კ. ჩეკი—23 მან. ავსტრიის კრონი ქაღალდის 1 მ. 50 კ. თათრული ლირა ოქროსი—1600 მან. ქაღალდის 325 მ. ჩეკი—310 მან. ამერიკის დოლარი: ქაღალდის—330 მან. ჩეკი—310 მან. გერმანიის მარკა ქაღ. 7 მან. 25 კ. ნიკოლოზის ოქროს 10 მან. 1850 მან. ას მანეთიანი ქაღ. 350 მ. ხუთას მანეთიანი 1500—1800 მ.

რკინის გზაზე

ზვავის ჩამოწოლა. რკინის გზის დეპარტამენტის მიერ მიღებულია ცნობები ბორჯომიდან რკინის გზაზე ზვავის ჩამოწოლის შესახებ. საგრძნობლად დაზიანებულა გზა მე-23 ვერსტზე. გზის გასაწმენდათ გამოყვანილია მუშები. საჭიროა კიდევ საერთოდ 300 მუშის გამოგზავნა. 8 ივნისის დეპეშაში აღნიშნულია საჭიროება პურის მიწოდებისა. მუშაობა დაჩქარებულ ტემპით სწარმოებს. მეორე დეპეშაში აღნიშნულია, რომ დიდი წვიმებით, რომელიც დაიწყო 7 ივნისს საღამოს 7 საათზე დაზიანებულია რკინის გზა ბორჯომ-მიხაილოვის შორის, მიღებულია ზომები გზის გასაწმენდათ.

თანახმად მიღებულ დეპეშისა მატარებელთა მიმოსვლა დროებით შეუჩერებიათ აგრეთვე ჭიათურის და სალიეთის შორის ზვავის ჩამოწოლის გამო.

ნავთეულობა ტფილისისათვის. საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზების სამმართველოში 8 ივნისს მიღებულია დეპეშა, რომელშიაც იტყობინებიან, რომ 10 ივნისს, ხუთშაბათიდან მცხეთაში დაიწყება ტფილისში გასაგზავნ ნავთეულობის ქვაბებში ჩასხმა. კეროსინს გადმოგზავნიან ტფილისის რეზერვუარებში გასაწმენდათ. საჭიროა განკარგულების გაცემა ყოველდღიურათ 30 ქვაბის მცხეთაში გაგზავნის შესახებ.

ტფილისი—ერევანი. გზათა სამმართველოში მიღებულია დეპეშა, რომელშიაც იტყობინებიან, რომ სათბობ მასალის ნაკლულევანების გამო პირდაპირი მიმოსვლა ერევან—ტფილისის შორის მოხდება მხოლოდ ერთი მატარებლით. № 3 და № 4 გავლენ ივანობისთვის შემდეგ რიცხვებში: № 3 ტფილისიდან გავა 11, 19, 23 და 27 ივანობისთვეს. ერევნიდან № 4 მატარებელი გამოვა 13, 17, 21, 25 და 29 ივანობისთვეს. აღნიშნული მატარებლები ივლიან არსებულ მატარებელთა მიმოსვლის წესით.

ფოთის წყალსადენი. წყალსადენის დასათვალიერებლად ფოთის ნავთსადგურში მოვიდა სპეციალური კომისია გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის დირექტორის მეთაურობით. კომისიის სასწრაფო გამგზავრება გამოწვეულია წყალსადენის სუსტი მოქმედებით, რაც ნავთსადგურის მუშაობაზე გავლენას ახდენს. კომისია მიიღებს სასწრაფო ზომებს წყალსადენის საჩქარო შესაკეთებლად და მის მოქმედების გასაძლიერებლად. წყალსადენი ამ ჟამად ფოთის თვითმმართველობის გამგებლობაში ამყოფება.

მილიციაში

5 ივნისს გაზ. „მუშათა ცხოვრება“-ს რედაქტორმა განუცხადა სისხლ. სამ. მილიციას, რომ მუშათა სასახლეში მოთავსებულ საწყობიდან მოიპარეს 45 ფუთი ქაღალდი, ღირებული 97.000 მან. უფროსის თანაშემწემ გრ. ლორთქიფანიძემ უფროს აგენტ გძელიშვილთან ერთად აღმოაჩინა მოპარული ქაღალდი. გამოირკვა, რომ სტამბის მოსამსახურეს კ. თოდრიას მ. ტურიანცთან ერთად პირველათ მოუპარავთ 2 კიპი, რომელიც მიუყიდიათ ქაღალდის მაღაზიის პატრონისთვის ვაგარშაკ მალხასიანცისთვის. მეორეთ იმავე თოდრიას და ტურიანცს მოუპარავთ კიდევ ორი კიპი და ისევ მალხასიანცს მიჰყიდეს. შემდეგ თოდრიამ და მამულაიშვილმა გამოიტანეს ჯერ ორი და მერე სამი კიპი, რომელიც მამულაიშვილმა მიჰყიდა ქაღალდის მაღაზიის პატრონს შვარცს. დასახელებულნი პირნი დაპატიმრებულნი არიან საქმე სასამართლოს გადაეცა. ქაღალდი პატრონს ჩაბარდა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

აუქციონი

კვირას, 13 ივნისს დღის 12 საათზე სამხედრო სამინისტროს სტამბის ეზოში, ლორის-მელიქოვის ქ. № 3. გაიყიდება აუქციონით დაახლოვებით 150 ფუთამდე ნაწერი ქაღალდი. 1425

სასამართლოს ბოქაული ტფილისის მეთერთმეტე საბოქაულო უბნისა ამით აცხადებს რომ მას დანიშნული აქვს 15 ივნისს 1920 წლ. დილის 10 საათზე, საჯარო ვაჭრობა არტემა და მარიამ ბედჯიანცების მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს როიალს. ოგანეზ სუნჯიანცის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. საჯარო ვაჭრობა მოხდება მე-8 სამილიციო უბანში, არხიპოვის მისავალში სახლი № 6, და დაფასესულია 450 მანეთი. 1224

დაიკარგა გორის სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების ატესტატი ფილიმონ ნიკოლოზის ძე კიკნაძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1368 3—2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ივანე და სოფიო გვარამაძეების სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1917 წ. რეესტრით № 3370, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1371 3—2

დაკარგულია პირადობის მოწმობა, მიღებული საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელისაგან ქ. ბაქოში 1919 წ. სამხედრო ბეგრიდან თავისუფლობის მოწმობა, მიღებული, შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, და სამთოშტეიგერობის წოდების მოწმობა, მიღებული კავკასიის სამთო სამმართველოდან ილია (ილიკო) სპირიდონის ძე მხეიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1383 3—2

დაიკარგა პასპორტი ლევ ლეონტის ძე როზენ ფელდის სახელზე, მიღებული პავლოგრადის (ეკატერინოსლოვის გუბ.) მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1411 3—2

დაიკარგა პასპორტი სოლომონ სოლომონის ძე, ლანდაუს სახელზე, მიღებული ნიდერლანდიის გენერალურ საკონსულოდან ქ. კონსტანტინოპოლში 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1398 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 130, ბეგლარ პოლოსის ძე ადამაშვილის სახელზე, მიღებული ტფილ. მაზრის სამხედრო უფროსისაგან 1920 წელს. გაუქმებულად ჩაითვლება. 1408 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი ეფემია ივანეს ასულის პეტროვას სახელზე, მიღებული კავკავის ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვლება. 1386 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი შვინდის ქუჩაზე, № 9, მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის სიმონ ჩილაშვილს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1412 3—1

დაიკარგა პასპორტი № 1 კარლოს იაკოფის ძე კრიგას სახელზე, მიღებული ასურეთის რაიონის კომისარისაგან 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1417 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 136, გრიგოლ ივანეს ძე ჭკადუას სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიც. უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1426 3—1

დაიკარგა პასპორტი მარტინ სერგის ძე მარკარიანცის სახელზე მიღებული ოდესის ქალაქის უფროსისაგან (გრადონაჩალნიკისაგან) 1919 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1419 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი, სუპ-კარაპეტის შესახვევში, № 14, მდებარე სახლისა, რომელიც ეკუთვნის ნ. გოგიაშვილს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1405 3—1

დაიკარგა ფერშლის მოწმობა № 3572, ვლადიმერ კონსტანტინეს ძე გოგოძის სახელზე, სურამის ადგილობრივ ლაზარეთიდან 1917 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1392 3—1

დაიკარგა პასპორტი გრიგოლ მინას ძე ჭოხონელიძეს სახელზე, მიღებული პატარა ონის საზოგადოებიდან (რაჭა). გაუქმებულათ ჩაითვალოს 1403 3-1

დაიკარგა უვადო პასპორტი, გაცემული ტფილისის პოლიცმეისტერისგან დავით გრიგოლის ძე სალაღოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1393 3—1

ორი ვექილობა, მიცემული რიზა მახმედოვის მიერ ვასილ ბეჟანის ძე ჩაჩიბაიაზე, პირველი 5 წიფობისთვეს 1917 წელს. რეესტრის № 8148 და მეორე 6 წიფობისთვეს 1919 წ. № 8341 მამულის საწარმოებლათ ქ. ტფილისში, სოლოლაკის ქ., № 1, გაუქმებულია და ყოველივე მოქმედება და ხელშეკრულება შესრულებული იმ ვექილობების ძალით 24 აპრილის 1920 წლის შემდეგ მახმედოვისთვის სავალდებულო არ არის. 1388 1—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 389 ინჟ. სამუილ ლეიბის ძე გუტმანის სახელზე, მიღებული პეტერბურგის ოხტენის ნაწილის ბოქაულისგან 1913 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1387 3—1

დაიკარგა 1. პასპორტი ივანე ნაზარეს ძე ათაბეგიანცის სახელზე, მიღებული ვილნოკოვნოს სახელმწიფო მამულთა საშმართველოდან 1914 წ. და 2. პილდეგორდ იულიას ასული ათაბეგიანცის სახელზე, მიღებული ჩერკასის (კიევის გუბ.) სამაზრო პოლიციის სამმართველოდან. 1903 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1404 3—2

დაიკარგა სამი სულის სასურსათო წიგნაკი № 7479 გაბო შავერდოვის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1374 3-3

დაიკარგა პასპორტი ბესარიონ დავითის ძე შოთაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1269 3—3

დაიკარგა ორი სულის სასურსათო წიგნაკი ტარასი ჭელიძის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1270 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი ფასანაურის დუშეთის ქ. კუთხეში № 1—15 მდებარე სახლისა, რომელიც ეკუთვნის იოსებ აღნიაშვილს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1389 3—1

დაიკარგა საბინო დავთარი პოტოხნი შესახვევში № 5, მდებარე სახლისა, რომელიც ეკუთვნის ხეთაგუროვს, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1390 3 - 1

დაიკარგა უვადო პასპორტი ევდოკია კუზმას ასულის ვოლკოვას სახელზე, მიღებული გორის მაზრის სამართველოდან 1919 წელს ოქტომბრის 25. გაუქმებულად ჩაითვლება. 1385 3—1

რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების ტფილისის კანტორა აცხადებს, რომ ამა წლის ივნისის ოცს, დილის ათს საათზე (ეგზარხის მოედანი, მანთაშევის სახლი) დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მოუთხოვნელ საქონელზე, რომელიც მიღებულია ნიჟნი-ნოვგოროდში გასაგზავნად ტფილისის კანტორის კვიტანციით № 6528639, საქონელი შეიცავს 94 ტომარა ცხვრის ტყავს, გაუკეთებელს მშრალს. საქონლის დათვალიერება შეიძლება 15 ივნისიდან ყოველ დღე 10—1 საათამდე. 1414 3—1

დაიკარგა პასპორტი მარიამ იუდინას სახელზე, მიღებული მე-2 კავკასიის მსროლელთა ბატ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1282 2—3

დაიკარგა საბინაო დავთარი სოფლის ქუჩაზე, № 9 მდებარე სახლისა, რომელიც ეკუთვნის გაბო ოძელაშვილს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1342 3—2

3

თ ე ა ტ რ ი

დამარილებული ჭანარი, (საზანი)

საუკეთესო ხარისხისა

იყიდება ძლიერ იაფად, გითუმათ და გოჯკოგით.

სომეხთა ბაზარში—ძმ. მანთაშევების ქარვასლა. დღის 10—1 საათამდე.

640 2—1

კახელ გევენახეთა და მეღვინეთა აქციონერული საზოგად. „კახური ღვინოს“ გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ, რომ წლიური საზოგადო კრება დანიშნულია 4 ივლისს 1920 წ. ქ. ტფილისში, დილის 11 საათზედ, ცენტრობანკის ბინაზედ.

განსახილველია: 1. წარსული 1919 წ. ანგარიში. 2. მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 3. მოხსენება სარევიზიო კომისიის და გამგეობისა, 4. სხვა და სხვა კითხვები და 5. სარევიზიო კომისიის წევრთა და მათი კანდიდატების არჩევნები. 1440 1—1

საქართველოს რკინის გზათა სამმართველო

1920 წ. ივნისის 22-ს იწვევს კონკურენციას დახურულ განცხადებებით ბუფეტების, სავაჭრო კარვების და სადალაქოების იჯარით გასაცემად შემდეგ სადგურებზე: ხაშური და ბორჯომი—ბუფეტები 1, 2 და მე-3 კლასისა ცხელი საჭმელებით, ლანჩხუთში—ბუფეტი ცივი საუზმით, ხაშური—სავაჭრო კარავი და რიონი—სადალაქო, ამასთანავე ერთი სადგურის 1, 2 და მე-3 კლასის ბუფეტები და სავაჭრო კარვები მიეცემა არა ერთს, არამედ სხვა და სხვა მოიჯარადრეებს. განცხადებების შეტანა შეიძლება პირადათ, ან ფოსტით. განცხადებას დართული უნდა ქონდეს შემდეგ რაოდენობის წინასწარ საწინდარის კვიტანციები: ბუფეტისთვის 5.000 მან., კარავისთვის და სადალაქოსთვის—ხუთას-ხუთასი მანეთი. საწინდარი უნდა შეტანილ იქნეს სამმართველოს მთავარ კასაში, ან ერთ-ერთ სადგურის კასაში. იმ შემთხვევაში, თუ წინადადება მიღებული არ იქნა, პატრონი საწინდარს უკან მიიღებს. კონკურენციის შესახებ დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება ექსპლოატაციის ნაწილში 10—2 ს. 632 3—3

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.